

დამტკიცებულის

აკადემიური საბჭოს 26.04.2023 წ. № 04-01/34 დადგენილებით
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

თ. კეჭერაძე

**განხილულის**

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალიურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი № 34. 20. 04. 2023 წ.
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის სახელწოდება

ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) ART HISTORY AND THEORY

განათლების საფეხური

ბაკალავრიატი BACHELOR DEGREE

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრი BACHELOR OF ART HISTORY AND THEORY

პროგრამის მოცულობა ECTS

240

სწავლების ენა

ქართული

სწავლის ღირებულება

1800 ლარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. ჩასაბარებელი გამოცდები: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული); 3. ერთ-ერთი შემდეგი სავალდებულო სანგებიდან: ისტორია/ლიტერატურა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

პროგრამაზე დაიშვებიან ასევე პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

პროგრამის მიზანი

ხელოვნების ისტორია და თეორია, ხელოვნებათმცოდნეობა არის სახელოვნებო მეცნიერებათა დარგი, რომლიც შეისწავლის არქიტექტურის/ხუროთმოძღვრებისა და ვიზუალური ხელოვნების დარგებში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს.

ხელოვნების ისტორიაში მიმდინარე პროცესების გააზრება, გამოცდილების, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და ზოგადად მხატვრული კანონზომიერებების წამორჩენა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ქვეყნის, რეგიონის კულტურული განვითარება წარმოუდგენელია სახელოვნებო პროცესების შესწავლის, ანალიზის, შეფასების, ცოდნის გადაცემის გარეშე. თანამედროვე გამოწვევები - ქაოსურად მზარდი ურბანული პროცესები, სახელოვნებო სივრცის გლობალიზაციის პრობლემები, კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, მოვლა-პატრონობის, ტურისტულ რესურსად გამოყენების ამოცანები, პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი სახელოვნებო, შემოქმედებითი, ესთეტიკური განათლების აუცილებლობა განსაზღვრავს შრომის ბაზრის მოთხოვნას ხელოვნების ისტორიისა და თეორიის - არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების მიმართულების სპეციალისტებზე.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს დროის ყველა ეტაპზე შექნილი მხატვრული მოვლენების ქრონოლოგიურ ანალიზს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ცნობიერების, თვითმყოფადობის, მსოფლიო ხელოვნების მხატვრული პრობლემების ადეკვატური გააზრებისა და შეფასების თვალსაზრისით. პროგრამა აქტუალურია დღევანდელი მსოფლიო გამოწვევების პირობებში, რადგან იგი აძლევს სტუდენტს გლობალურ სამყაროში ორიენტაციის, ცოდნის ინტეგრაციის, ეროვნული თავისებურებებისა და მსოფლიო სახელოვნებო პროცესების გაანალიზების შესაძლებლობას, ხელს უწყობს ეროვნული თვითშეგნების განვითარებას, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, დაცვას, პოპულარიზაციას.

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის, რეგიონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრის მომზადებას, რომელიც შეძლებს პროფესიულ წინსვლას, საზოგადოებაში დადებითი როლის შესრულებას და ცოდნის გამოყენებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

პროგრამის მიზანია:

- სტუდენტმა შეიძინოს ფართო და ზოგადი ცოდნა არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების დარგების ისტორიისა და თეორიაში; შეისწავლოს ქართული და მსოფლიო ხელოვნების განვითარების ეტაპების დამახასიათებელი სტილისტური ნიშან-თვისებები, ხელოვნების კონკრეტული ნიმუშები; შეძლოს ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების მხატვრულ-ისტორიული კონტექსტების გამოკვეთა, ხელოვნების ესთეტიკური, კულტურულ-ისტორიული, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, სოციალური და სხვ. ასპექტების განსაზღვრა.
- დაეუფლოს ფაქტობრივ მასალაში გარკვევის, მხატვრული ნაწარმოების აღწერა-ანალიზის, შესწავლა-შეფასების, კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძვლებს;
- შეძლოს პროფესიული ჩართულობა კულტურული მკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და მოვლა-პატრონობაში, ხელოვნების განვითარების ხელშეწყობი ფაქტორებისა და ურბანული პროცესების კეთილგონივრული პრინციპების დამკვიდრებაში.
- გამოიყენოს ცოდნა პროფესიულ, საგანმანათლებლო, მომიჯნავე სფეროებში ინტეგრირებისთვის კარიერული წინსვლის მისაღწევად.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში (Brain storming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული

სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტთა აქტივობები: ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობაში მონაწილეობა; ტესტირება, რეფერატის, პორტფოლიოს პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; მოხსენება კონფერენციაზე; ძეგლზე, წყაროზე, ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება.

✓ სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.

- ✓ სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა სტუდენტს შეუძლია მიიღოს დამატებითი კონსულტაციები პროფესორ-მასწავლებელთაგან დადგენილი გრაფიკის შესაბამისად (კონსულტაციების გრაფიკი იხილეთ საინფორმაციო დაფაზე, სასწავლო ცხრილის გვერდით) ან დისტანციურად, ინტერნეტის მეშვეობით.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

1. ავლენს მსოფლიო და ქართული ხელოვნების (არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება და სხვა ვიზუალური ხელოვნებანი) დარგების ზოგადი ისტორიის, მხატვრულ-ისტორიული პროცესების, ხელოვნების ძირითადი სტილების, განვითარების ეტაპების, მიმდინარეობების თავისებურებებისა და მხატვრული ტენდენციების ფართო ცოდნას.
2. ახდენს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების იდენტიფიცირებას, კლასიფიკაციას. სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით აღწერს მხატვრულ ნაწარმოებს, ფლობს მხატვრული ნიმუშის შესწავლა-შეფასების ძირითად ინსტრუმენტებს, მხატვრული ფორმის ანალიზის, კომპარატივისტული ანალიზის, იკონოგრაფია-იკონოლოგიის და სხვ. საფუძვლებს. აცნობიერებს ხელოვნების თეორიის ფუნდამენტურ პრინციპებს, ხელოვნების ისტორიის ისტორიოგრაფიის საფუძვლებს;
3. იცნობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სამუზეუმო საქმიანობის ძირითად პრინციპებს, მომიჯნავე სახელოვნებო და ჰუმანიტარული დარგების (მუსიკა, თეატრი, კინო, ისტორია, არქეოლოგია, კულტურის ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, მითოლოგია და სხვ.) სპეციფიკას, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მხატვრული პროცესების სხვადასხვა ასპექტით გააზრებისათვის.

უნარი

1. მიმოიხილავს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების განვითარების ეტაპების მხატვრულ ტენდენციებს, ხელოვნების ისტორიის ძირითადი სტილების, მხატვრული სკოლების, მიმდინარეობების მხატვრულ თავისებურებებს, საეტაპო მნიშვნელობის კონკრეტულ ხელოვანთა შემოქმედებას.
2. შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ახდენს ნაწარმოების ინდენტიფიცირებას, ინტერპრეტაციას, შინაარსობრივ და სტილისტურ დახასიათებას, სახელოვნებო პროცესებში ზოგადი/საერთო და ინდივიდუალური ნიშნების გამოყოფას, მხატვრული პროცესების კრიტიკულ გააზრებას; განიხილავს ხელოვნების ნაწარმოებს, მხატვრულ ნიმუშს როგორც ფორმის ანალიზის კრიტერიუმებით, ისე ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ, სოციალურ და სხვ. კონტექსტში.
3. აანალიზებს ხელოვნების პრაქტიკული სფეროების (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა) შესწავლისა და დაცვის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობისა და კაცობრიობის კულტურული ფასეულობების შენარჩუნების საქმეში. ახდენს მოსაზრებების ჩამოყალიბებას კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და მასზე ზრუნვა-შენარჩუნების აუცილებლობაზე;
4. მოიძიებს და იყენებს ვიზუალურ მასალებს, სამეცნიერო, ელექტრონულ, სამუზეუმო, საარქივო, საფონდო, მომიჯნავე ინტერდისციპლინური სფეროების რელევანტურ წყაროებს, დარგში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით შეიწავლის არქიტექტურის/ხუროთმოძღვრებისა და ვიზუალური ხელოვნების ნიმუშებს და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ასრულებს პრაქტიკულ დავალებებს, აკადემიური სტანდარტებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ქმნის კვლევითი ხასიათის წერით ნაშრომს/პროექტს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

1. დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას და იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს.
2. აცნობიერებს ხელოვნებას, როგორც მსოფლიო ფასეულობის მრავალფეროვნებას და პატივს სცემს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

დასაქმების სფერო

ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე დასაქმდება ისეთ სფეროებში, როგორცაა სახელოვნებო განათლება ან/და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვა, მუზეუმები, ძეგლთა დაცვის სფერო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამუზეუმო განათლების სფეროები, სახელოვნებო ბაზარი და მედია. შესაბამისი კომპეტენციის დადასტურებისა და მასწავლებლის კარიერულ სქემაში ჩართვის შემთხვევაში აქვს უფლება დასაქმდეს საჯარო სკოლაში სახვითი და გამოყენებით ხელოვნების მასწავლებლად.

შეფასების სისტემა

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.

დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).

სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.

სწავლის გაგრძელება

ბაკალავრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა

აკადემიური პერსონალი

<i>სახელი, გვარი</i>	<i>სტატუსი</i>	<i>საგანი</i>
მაია ჭიჭილეიშვილი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი	ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (I,II), ქრისტიანული იკონოგრაფიის საფუძვლები, შუა საუკუნეების ქართული ფერწერა, მე-19-20 სს-ის საქართველოს ქალაქების არქიტექტურა, შესავალი ისტორიოგრაფიაში, გასვლითი პრატიკა
რატი ჩიბურდანიძე	პროფესორი, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის აკადემიური დოქტორი	ანტიკური ხელოვნების ისტორია, ხელოვნების ძეგლთა მხატვრული ფორმის ანალიზი, აღორძინების ეპოქის ხელოვნება, XVII-XVIII საუკუნეების დას. ევროპის ხელოვნება, XIX ს-ის დას. ევროპის ხელოვნება, XX ს-ის ხელოვნება (დას. ევროპა, აშშ).
თეიმურაზ კეჭერაძე	პროფესორი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აკადემიური დოქტორი	შესავალი თეატრის ისტორიაში, შესავალი თეატრის მხატვრობის ისტორიაში.
ოლღა ჟღენტი	ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის აკადემიური დოქტორი	შესავალი კინოს ისტორიაში
ნათია კვაჭაძე	ასისტენტ პროფესორი ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი	შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, შუა საუკუნეების ქართული პლასტიკა(ქვის რელიეფები, ჭედური ხელოვნება), შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნება, შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ხელოვნება (ისლამური ქვეყნები, ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია), 19-20 სს-ის ქართული სახვითი ხელოვნება.
მიხეილ კვაჭაძე	ასოცირებული პროფესორი	ხატვა, ფერწერა
ერმილე მესხია	პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი	მუზეოლოგია, საქართველოს ისტორია
ქეთევან ვაჩეიშვილი	პროფესორი	შესავალი ტექსტილისა და სამოსის ისტორიაში
ნოდარ კვიციანი	ასოცირებული პროფესორი	ფერთმცოდნეობის საფუძვლები
გულნარა გორგილაძე	ასოცირებული პროფესორი	ინგლისური ენა
თამილა მეიშვილი	პროფესორი	მეტყველების კულტურა

მოწვეული პერსონალი

ქეთევან ფილიპოვა-კვაჭაძე	მხატვარი. I კატეგორიის სპეციალისტი	ხატვა, ფერწერა, გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლები, შესავალი ტექსტილისა და სამოსის ისტორიაში (პრაქტიკული)
თალიკო ბერიძე	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	ძველი ქართული დამწერლობა
ნინო ინაიშვილი	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
ზაზა კილაძე	სპეციალისტი (I კატ.)	მითოლოგია, რელიგიების ისტორია
ინგა ხალვაში	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	სატელევიზიო ხელოვნება
ნინო ხარჩილავა	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	ქართული ხალხური ხელოვნება, მხარეთმცოდნეობა, ქართული ეროვნული სამოსი
გიორგი მასალკინი	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	შესავალი თანამედროვე აზროვნებაში ესთეტიკის საფუძვლები
ნინო მექვაბიშვილი	სპეციალისტი (I კატ.)	შემოქმედების ფსიქოლოგია
ნელი ჩაკვეტაძე	სპეციალისტი (II კატეგორია)	ძეგლთა აღწერისა და დოკუმენტირების საფუძვლები
ნინო ძნელაძე	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	არქეოლოგიური კულტურის ძეგლები საქართველოში
სალომე ჩიკაშუა	სპეციალისტი (I კატ.)	სპეც ინგლისური ენა (A1, A 2, B1, B2)
ნათია მიქელთაძე	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	აკადემიური წერა
ნინო ხუჯაძე	სპეციალისტი (I კატ.) აკადემიური დოქტორი	საოფისე კომპიუტერული პროგრამები
ლიანა გველესიანი	სპეციალისტი (I კატ.)	შესავალი მუსიკის ისტორიაში
ნატალია ხაბაზი	სპეციალისტი (I კატეგორია) თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი	ანტიკური ხელოვნების ისტორია (სემინარი), ქრისტიანული იკონოგრაფიის საფუძვლები (პრაქტიკა), გასვლითი პრაქტიკა
ერეკლე სიგუა	სპეციალისტი (I კატეგორია)	ფოტოხელოვნება

პროგრამის ხელმძღვანელი

მაია ჭიჭილეიშვილი - პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ტელ:593 362 361. e-mail:chichileishvilimaia@gmail.com

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ბხსუ უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასწავლო სახელოსნოებით. ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	საგნის/მოდულის დასახელება	კრედიტები	საათების რ-ბა			კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								
				სულ	საკონტ.	დამოუკ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სპეციალობის ძირითადი კურსები			130				5	10	30	30	15	10	15	15	
F19		შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში	5	125	50	75	5								
8C1		ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება	5	125	50	75		5							
8C2		ანტიკური ხელოვნების ისტორია	5	125	50	75		5							
8C3		შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნება	5	125	50	75			5						
8C4-1		ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია (I)	5	125	50	75			5						
8C5		ხელოვნების ძეგლთა მხატვრული ფორმის ანალიზი	5	125	50	75			5						
8C6		ქრისტიანული იკონოგრაფიის საფუძვლები	4	100	40	60			4						
8C6-p		პრაქტიკა (ქრისტიანული იკონოგრაფიის საფუძვლები)	1	25	15	10			1						
8C7		ხატვა	5	125	75	50			5						
8C12		ძველი ქართული დამწერლობა	5	125	50	75			5						
8C8		შუა საუკუნეების ქართული პლასტიკა (ქვის რელიეფები, ჭედური ხელოვნება)	5	125	50	75				5					
8C9	8C2, 8C3	აღორძინების ეპოქის ხელოვნება	5	125	50	75				5					
8C4-2	8C4-1	ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია II	5	125	50	75				5					
8C10		მუზეოლოგია	4	100	40	60				4					
8C10-p		პრაქტიკა (მუზეოლოგია)	1	25	15	10				1					
8C13		ქართული ხალხური ხელოვნება	5	125	50	75				5					
8C16		კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	5	125	50	75				5					
8C11	8C9	XVII-XVIII სს დას. ევროპის ხელოვნება	5	125	50	75					5				
8C21		შესავალი ისტორიოგრაფიაში	5	125	50	75					5				
8C22		შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ხელოვნება (ისლამური ქვეყნები, ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია)	5	125	50	75					5				
8C15	8C6; 8C6-p	შუა საუკუნეების ქართული ფერწერა (კედლის მხატვრობა, ხატწერა, მინიატურა)	5	125	50	75						5			
8C14		XIX ს-ის დას. ევროპის ხელოვნება	5	125	50	75						5			

8C17	XX ს-ის ხელოვნება (დას. ევროპა, აშშ)		5	125	50	75							5		
8C18	მე-19-20 სს-ის საქართველოს ქალაქების არქიტექტურა		3	75	33	42							3		
8C18-p	პრაქტიკა: მე-19-20 სს-ის საქართველოს ქალაქების არქიტექტურა		2	50	20	30							2		
8C19	მე-19-20 სს-ის ქართული სახვითი ხელოვნება		5	125	50	75							5		
8C20	8C4-1; 8C4-2; 8C8; 8C15; 8C18; 8C19	გასვლითი პრაქტიკა	5	125	45	80								5	
8C23	8C4-1; 8C4-2; 8C8; 8C15; 8C18; 8C19.	საბაკალავრო ნაშრომი	10	250	20	230								10	
სპეციალობის არჩევითი კურსები			25										10	10	5
el-80	არქეოლოგიური კულტურის ძეგლები საქართველოში		5	125	50	75									
el-81	ძეგლთა აღწერისა და დოკუმენტირების საფუძვლები		5	125	50	75									
el-15	შესავალი თეატრის მხატვრობის ისტორიაში		5	125	50	75									
el-16	მითოლოგია		5	125	50	75									
el-19	საქართველოს ისტორია		5	125	50	75									
el-20	მხარეთმცოდნეობა (საქართველოს მხარეები)		5	125	50	75									
el-23	ესთეტიკის საფუძვლები		5	125	50	75									
el-13	შემოქმედების ფსიქოლოგია		5	125	50	75									
el-24	ფერწერა		5	125	75	50									
el-66	ფერთმცოდნეობის საფუძვლები		5	125	45	80									
el-82	გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლები		5	125	50	75									
el-12	ტექსტილისა და სამოსის ისტორია		5	125	50	75									
el-83	ქართული ეროვნული სამოსი		5	125	50	75									
el-17	სატელევიზიო ხელოვნება		5	125	50	75									
el-84	რელიგიების ისტორია		5	125	50	75									
F7-1	ფოტოხელოვნება		5	125	30	90									
el-85	ძველი ბერძნული ენა		5	125	45	80									
ESA-A2.1	E-A1.2	სპეც ინგლისური ESA-A2.1	5	125	50	75									
ESA-A2.2	ESA-A2.1	სპეც ინგლისური ESA-A2.2	5	125	50	75									
ESA-B1.1	ESA-A2.2	სპეც ინგლისური ESA-B1.1	5	125	50	75									
ESA-B1.2	ESA-B1.1	სპეც ინგლისური ESA-B1.2	5	125	50	75									
ESA-B2.1	ESA-B1.2	სპეც ინგლისური ESA-B2.1	5	125	50	75									
ESA-B2.2	ESA-B2.1	სპეც ინგლისური ESA-B2.2	5	125	50	75									
საუნივერსიტეტო სავალდებულო			15												
		აკადემიური წერა	5	125	50	75	5								
E-A1.1		ინგლისური ენა A1.1	5	125	50	75	5	5							
E-A1.2	E-A1.1	ინგლისური ენა A1.2	5	125	50	75	5	5							
E-A2.1		ინგლისური ენა A2.1	5	125	50	75	5	5							

